ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 6-10/1974

ქ. თბილისი
04.10.2011წ.

ერთის მხრივ **შპს „საგზაო ტექნიკა"** (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის გიორგი როგავა სახით და **შპს „ქარგილი"**(შემდგომში „მიმწოდებელი"), მეორეს მხრივ, მისი დირექტორის მერაბ თავართქილაძის სახით შევთანხმდით და დავდთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
1.2. საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება წინამდებარე ცხრილის მიხედვით:

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1.	ტყავის ხელთათმანი	30 ც	4.00	120.00
2.	ჟილეტი	1 ც	33.00	33.00
				ჯამი: 153.00

2. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 153 (ასორმოცდაცამეტი)ლარის დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში საქონლის მიწოდებიდან 10(ათი)დღის განმავლობაში.

3. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას №36.
3.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" საქონელი გადასცეს შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით.

4. საქონლის ხარისხი და ინსპექტირების პირობები

4.1. შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
4.3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საგზაო ტექნიკა"-ს შესყიდვების სამსახურის უფროსი მიხეილ გიორგაძე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
   ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
   ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
5.2. ამ მუხლის 5.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შემსყიდველი დროულად არ განახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება.
6.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერისთანავე;

10.3. ხელშეკრულება დაიდო 15 (თხუთმეტი) დღის ვადით.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
შპს "საგზაო ტექნიკა"	შპს „ქარგილი"
მის: ქ. თბილისი,	მისამართი: ქ. თბილისი,
ვაჟა-ფშაველას გამზირი №71	გამრეკელის ქ. №19
ს/კ: 205140257	ს/კ: 205257210
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" –	ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"
კოდი: BAGAGE22	კოდი: TBCBGE 222
ა/ა: GE14BG0000000282521400	ა/ა: GE42TB0547836080100005
გიორგი როგავა _____	მერაბ თავართქილაძე _____

205140257
შპს საგზაო ტექნიკა
ROAD TECHNIQUE LTD

შპს „ქარგილი" „QARGILI" LTD
205257210